ო, ალლაჰ, შენ შეგევედრები, რომ დამიფარო ცუდი ზნე-ჩვეულებებისგან, უსამართლო ქმედებებისგან და ვნებებისგან

გადმოცემულია ყუტბა იბნ მაალიქისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ო, ალლაჰ, შენ შეგევედრები, რომ დამიფარო ცუდი ზნე-ჩვეულებებისგან, უსამართლო ქმედებებისგან და ვნებებისგან».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრებიდან იყო: შენ შეგევედრები და შენთან ვეძებ დაცვას, და არა ვინმე სხვასთან, იმ დამღუპველი ზნე-ჩვეულებებისგან, რომლებიც ალლაჰმა და მის მოციქულმა აკრძალა, როგორიცაა ბოროტება, შური და ამპარტავნება, ასევე, დამღუპველი ქმედებებისგან, როგორიცაა გინება და ლანძღვა. და ყველა იმ ვნებისგან, რომელსაც ვნება ისწრაფვის, მაგრამ რომელიც ეწინააღმდეგება შარიათს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5329